ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5988221

ნომერი: AR1906784

თარიღი : 15.06.2022

გაცემის თარიღი : 16.06.2022

გაცნობის თარიღი : 21.06.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , იუმაშევის ქუჩა N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რასიმ ასლანოვი პ/ნ 28001000100
- ქ.მარნეული სოფელი ყიზილჯაო

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ: რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ საამქრო/სტამბის (საამქრო,სასაწყობო შენობა ნაგებობა) განთავსების მიზნით 06.06.2017წ. №3304387 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 30/08/2017წ. № 3504374 ბრძანებით, შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან, AR1906784 განაცხადით ითხოვთ ახალი შენობის განთავსებას, საჭიროა ასეთი ნაკვეთისთვის ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გაპი) დამტკიცება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; რისთვისაც შესაბამისი მოთხოვნით საკითხი დაყენებული უნდა იქნას ნომენკლატურით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები • მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.